

არასრულწლოვანი მოქალაქისათვის პასპორტის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- 16 წლამდე პირისათვის პასპორტის მისაღებად საჭიროა ორივე მშობლის თანხმობა, ხოლო თუ პირი 16 წელს არის გადაცილებული ერთი მშობლის თანხმობა. თუ მშობლები გამოცხადდებიან საკონსულოში თანხმობა კეთდება ადგილზე საკონსულო თანამდებობის პირის თანდასწრებით, ხოლო მშობლების გამოუცხადებლობის შემთხვევაში თანხმობის დამოწმება შესაძლებელია ადგილსამყოფელის ქვეყნის სანოტარო ბიუროში;
- მშობლების პასპორტის ასლები;
- არასრულწლოვნის დაბადების მოწმობის ასლი. თუ არასრულწლოვანი აბადებულია ადგილსამყოფელ ქვეყანაში დოკუმენტი საჭიროებს აპოსტილით დამოწმებას;
- მანი ორდერი (Money Order) 65 აშშ დოლარის ოდენობით;
- იმ შემთხვევაში, თუ გსურთ პასპორტის მიღება ფოსტის საშუალებით, გთხოვთ წარმოადგინოთ მუყაოს კონვერტი მისამართით და სათანადო რაოდენობის საფოსტო მარკებით.

პასპორტი გაიცემა განაცხადის მიღებიდან 45 დღის განმავლობაში 3 წლის ვადით.